# კონკურსის „ასწავლე ფინანსები ლიტერატურით“ ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

ფინედუ

## სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ დოესის საჯარო სკოლა

| ინფორმაცია ჩატარებული ღონისძიების შესახებ | |
|---|---|
| სეგმენტი | **მოსწავლეები** |
| კლას(ებ)ი, რომელშიც ჩატარდა აღნიშნული ღონისძიება | მეორე კლასი |
| მხატვრული ნაწარმოები (დასახელება, ავტორი), რომელიც განიხილეთ მოსწავლეებთან ერთად | ირმა მალაციძის "ციყვის სუპერმარკეტი" |
| ფინანსური განათლების თემები, რომლებიც განიხილეთ აქტივობის ჭრილში<br><br>*(მაგალითად, დაზოგვა, ბიუჯეტირება, დაზღვევა. თემებზე დეტალური ინფორმაციისთვის ეწვიეთ [ფინედუს ვებგვერდს](#))* | საიდან მოდის და რაში იხარჯება ფული, ფულის რაობა, დაზოგვა, როგორ გავარჩიოთ ჩვენი სურვილები და საჭიროებები. |
| სწავლების მეთოდ(ებ)ი, რომელიც გამოიყენეთ ლიტერატურის განხილვისას. ახსენით რატომ შეარჩიეთ ეს მეთოდები<br>*(მაგალითად, კეთებითი სწავლება, შემთხვევების განხილვა, დისკუსია, როლური თამაში და სხვა)* | როლური კითხვა, შემთხვევების განხილვა, დისკუსია, დახატე, დაწერე, აღწერე, თამაში მინიმარკეტობანა., ინფორმაციის მოძიება., მოსაუბრე კარები. მოსწავლეთა ასაკის შესაბამისად სახალისო გზით შემდგომში აისახება ფინანსურ კეთილდღეობასა და კულტურაზე. აღნიშნული მეთოდები სტანდარტულ გაკვეთილებზე გამოცდილია და მოსწავლეები ფლობენ წესებს. |

## კონკურსის „ასწავლე ფინანსები ლიტერატურით“ ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

| | |
|---|---|
| **აქტივობის აღწერა**<br>*(აღწერეთ სრული შეხვედრის მეთოდური ნაწილი: როგორ წარიმართა შეხვედრა, რა სტრუქტურით და თანმიმდევრობით განიხილეთ მხატვრული ნაწარმოები, რა მეთოდები გამოიყენეთ და როგორ დაუკავშირეთ ფინანსურ განათლებას. მიუთითეთ ჩატარებული აქტივობის ხანგრძლივობა)* | აქტივობები:<br>*ტექსტი- ირმა მალაციძის "ჩიყვის სუპერმარკეტი"-გაკვეტილზე ლექსის სტანდარტული ახსნა. ლექსიკური მუშაობა- სიტყვის სკივრის გამოყენებით ტექსტში გამოყენებული სიტყვების: მინიმარკეტი,,რეკლამა, ბარტერით, კამპანია ა. შ. ახსნა.<br>*როლური კითხვა.<br>*სარეკლამო ფურცლების დამზადება.<br>*აქტ. დახატე, აღწერე, დაწერე<br>*საუბარი მრგვალ მაგიდასთან „რატომ გახდა ციყვუნიას ბიზნესი წარმატებული"<br>*ანდაზების მოძიება ფინანსური განათლებისთვის.<br>*თამაში"ჩემი მინიმარკეტი"<br>*მშობელთა ჩართულობით სამახსოვრო ბარათების დამზადება "შვილების ფინანსური კულტურის აღზრდა.<br>*მოსაუბრე კარები"<br>პროექტის დასაწყისში მოსწავლეთა გასაგები ენით ვისაუბრე ფულის რაობაზე, |
| **შედეგი / მიგნება, რომელიც დადგა / გამოიკვეთა აღნიშნული აქტივობის განხორციელების შემდეგ**<br>*(მიუთითეთ, როგორ გაზომეთ აღნიშნული შედეგი)* | ოსწავლეებმა გაიაზრეს ტექსტი, ისაუბრეს პერსონაჟებზე, ციყვის მიერ ბიზნესში დაშვებულ შეცდომებზე, გამყიდველი ჩოჩორის წესრიგიანობაზე, ბარტერულ ვაჭრობაზე,მოიწონეს ციყვუნიას პრობლემის გადაჭრის გზები, დაამზადეს სარეკლამო ფურცლები რითიც ციყვის ბიზნესი წარმატებული გახდა. გამოიტანეს დასკვნა, ასევე დაასკვნეს რომ გაუძლო კონკურენციას, პროდუქციას ყიდდა ფასდაკლებითაც და ბითუმად, მარკეტში იყო წესრიგი. ისაუბრეს ქველმოქმედებაზეც. გაიგეს რომ ფული უბრალო ქაღალდი არ არის. მას გამომუშავება ჭირდება სწავლითა და შრომით. გავუფრთხილდეთ ფულს,<br>პროექტის საშუალებით მოხდა გააზრების, დასკვნის გამოტანის, ფინანსური, კრიტიკული, არგუმენტირებული მსჯელობის და შემოქმედებითი უნარების ხელშეწყობა. ფინანსური კეთილდღეობის ამაღლებისათვის მოიძიეს და დაისწავლე 30 -მდე ანდაზა. პროექტის განხორციელების ფარგლებში მიღებული ცოდნა გამოიყენეს სახალისო თამაშში: ,,კლასის მინიმარკეტი”. მშობელთა ჩართულობით დავამზადეთ მშობლების სამახსოვრო ბუკლეტები ,,ვასწავლოთ ფინანსები მარტივად”. |